



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 27 ოქტომბერი

**დისციპლინური საქმე №34/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2019 წლის 26 თებერვალს №-- საჩივრით მიმართა ---, რომელმაც მოითხოვა ყოფილი მოსამართლის --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 მარტის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, მოსამართლისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტა (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის --- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე --- გათავისუფლდა თანამდებობიდან 2019 წლის ---, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ --- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, ის არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს ---, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

**2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ
გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

აღნიშნული ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 2 თვეში წინასწარ ამოწმებს მის საფუძვლიანობას და აშხადებს დასკვნას (ორგანული კანონის 75⁶ მუხლი).

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნით -- -- მიმართ №-- საჩივრის საფუძველზე არ განხორციელდა საჩივარში მითითებული გარემოებების წინასწარი მოკვლევა, რადგან -- -- წლის -- ადარ ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას.

ვინაიდან, მოცემული საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების ეტაპზე -- -- არ წარმოადგენდა დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს და ადარ ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას, მის მიმართ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის საფუძველზე უნდა შეწყდეს სამართალწარმოება, რადგან საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი მოკვლევისათვის დადგენილ ვადაში არ წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სუბიექტს.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 26 თებერვლის №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი